შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის

დირექტორის ბრძანება

№ 00010672

07/11/2022

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური შეფასების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ

"პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N416 დადგენილების, კოლეჯის ხარისხის მენეჯერის 2022 წლის 07 ნოემბრის N10631 სამსახურებრივი ბარათის და შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის წესდების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური შეფასების ჩატარების წესი თანდართული დანართის შესაბამისად.
2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კერძო კოლეჯების ასოციაცია
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი
დირექტორი
სუხიშვილი რუსუდან

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე

შუალედური შეფასების ჩატარების წესი

მუხლი 1. შესავალი

1.წინამდებარე წესი არეგულირებს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგში (შემდგომში კოლეჯი) შუალედური შეფასების წესსა და პირობებს;

2.შუალედური შეფასება წარმოადგენს პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის და პროფესიული სტუდენტებისათვის განმავითარებელი უკუკავშირის მიცემის ერთერთ მექანიზმს;

3.დუალური სწავლების შემთხვევაში, აღნიშნული წესი და პირობები განისაზღვრება სასწავლო საწარმოსთან თანამშრომლობით.

მუხლი 2. შუალედური შეფასების მიზანი და საგანი

1.შუალედური შეფასების მიზანია პროფესიული სტუდენტის პროგრესის დადგენა სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით და მისთვის აღნიშნულზე განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა.

2.შუალედური შეფასების საგანია დააკვირდეს პროფესიული სტუდენტის პროგრესს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით და დროულად უზრუნველვყოს ჩარევა სწავლა-სწავლების პროცესში.

3.შუალედური შეფასების მიზანს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნისა და უნარების დონის დადგენა წარმოადგენს.

4.შუალედური შეფასების საგანია პროფესიული ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომლის შინაარსიც ეფუძნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელ მოდულებს.

მუხლი 3. პროფესიული სტიუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა

1. შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა პროფესიული სტუდენტისათვის სავალდებულოა;

2.შუალედური შეფასების შედეგები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სწავლის შედეგების დადასტურებისათვის, კრედიტის მინიჭებისათვის, ან პროფესიული სტუდენტის სტატუსის განსაზღვრისათვის/შეცვლისათვის;

4. შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისათვის საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას;

5. კოლეჯი უზრუნველყოფს ვალიდურ, სანდო, ობიექტურ, სამართლიან და გამჭვირვალე შეფასების სისტემას;

6. პროფესიული სტუდენტის შეფასება მოიცავს შეფასების ინსტრუმენტს, შეფასების პროცესს და შეფასების მტკიცებულებას.

მუხლი 4. შუალედური შეფასების ადმინისტრირება

1.შუალედური შეფასების ორგანიზებასა და ადმინისტრირებას უწევენ ადმინისტრირების ჯგუფი რომლის შემადგენლობაშიც არიან :

ა) სასწავლო პროცესის მენეჯერი;

ბ) სასწავლო პროცესის სპეციალისტი;

გ) IT მენეჯერი.

2.სასწავლო პროცესის მენეჯერი კოლეჯის დირექტორს წარუდგენს ინფორმაციას შუალედური გამოცდის ვადის შესახებ;

3. პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების (მათ შორის, შუალედური შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების კრიტერიუმების, შეფასების მეთოდების შესახებ) მიზნით, ადმინისტრირების ჯგუფი ხვდება პროფესიულ სტუდენტებს. საინფორმაციო შეხვედრის თაობაზე კოლეჯის წარმომადგენელი პროფესიულ სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას.

4. შუალედური შეფასების კომისიის (შემდგომში -შეფასების კომისია) წევრებს აცნობებს შესაბამის პროგრამაზე შეფასების (მათ შორის, განმეორებითი შუალედური შეფასების) თარიღის შესახებ.

5.შეფასების კომისიას უწევს ტექნიკურ მხარდაჭერას შეფასების პროცესში. ასევე, შეფასების კომისიის წევრებს გააცნობს შეფასების ინსტრუმენტს, კრიტერიუმებს და შუალედური შეფასების წესს.

6.კოლეჯის დირექტორს მიაწვდის ინფორმაციას შუალედური შეფასებისათვის საჭირო რესურსის შესახებ, შეფასების პერიოდის დაწყებამდე, ასეთის საჭიროების შემთხვევაში;

7.აგროვებს პროფესიულ სტუდენტთა განცხადებებს შუალედური შეფასების აღდგენის თაობაზე და წარუდგენს დირექტორს განსახილველათ;

8.იღებს შუალედური შეფასების პროცესის ადმინისტრირებისთვის საჭირო სხვა ღონისძიებებს.

მუხლი 5. შუალედური შეფასების კომისია

1. შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი წარუდგენს კოლეჯის დირექტორს შეფასების კომისიის წევრთა კანდიდატურებს;

2. შუალედური შეფასების კომისის /კომისიების წევრებს ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი

3 შუალედური შეფასების კომისიის შემადგენლობა, კომისიის თავმჯდომარე და მდივანი განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით;

4. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით;

5 კომისიის თავმჯდომარის ან მდივნის არყოფნის შემთხვევაში, დანარჩენი წევრები ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს და მდივანს;

6.ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა;

7. შუალედური შეფასების კომისია/კომისიები:

ა) განსაზღვრავს შუალედური შეფასების თარიღს და წარუდგენს დირექტორს

ბ)შეიმუშავებს შუალედური შეფასების ინსტრუმენტს და წარუდგინოს დირექტორს დასამტკიცებლად

გ) კომისიის კომპეტენციაა შუალედური შეფასების შედეგებზე დაყრდნობით კოლეჯის დირექტორს მისცეს უკუკავშირი პროგრამის განხორციელების პროცესში წარმოჩენილ ძლიერ და სუსტ მხარეებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში გასცეს რეკომენდაციები;

დ) რეკომენდაციების შემუშავების პროცესში უნდა ჩაერთოს კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი;

ე)კომისიის შეფასება და რეკომენდაციები აისახება შესაბამის ოქმში;

8. შეფასების კომისია შედგება მინიმუმ 3 წევრისაგან. კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტს უნდა ქმნიდეს პარტნიორი ორგანიზაციების/დარგობრივი ასოციაციების/სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები, ან/და დარგის/განათლების ექსპერტები.

9 შუალედური შეფასების კომისია შეფასებისას ეყრდნობა არსებულ შეფასების ინსტრუმენტს და შეფასების კრიტერიუმებს, რომელსაც გავლილი აქვს ვალიდაცია.

10.შუალედური შეფასების ფარგლებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს დიფერენცირებული (ქულობრივი) ან/და არადიფერენცირებული (დადასტურდა/ვერ დადასტურდა) შეფასება, თუმცა აუცილებელია, რომ შუალედური შეფასება განმავითარებელი უკუკავშირით დასრულდეს. აღნიშნული გულისხმობს კომენტარს/უკუკავშირს პროფესიული სტუდენტის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის და სწავლის ხელშეწყობის მიზნით.

11.პროფესიული სტუდენტის პრაქტიკული უნარების შეფასებისას სავალდებულოა შეფასებას ახორციელებდეს კომისიის წევრთა უმრავლესობა.

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების ინსტრუმენტი

1.შუალედური დავალება შემუშავდება იმ პროფესიული ცოდნისა და უნარების ფარგლებში, რომლის გამომუშავებისკენაც მიმართულია დასრულებული მოდულებით გათვალისწინებული ის სწავლის შედეგები, რომლებიც გავლილია პროფესიულ სტუდენტთა მიერ.

2 პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შუალედური შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას:

- კომპლექსური დავალება;
- პრაქტიკული დავალება;
- პრეზენტაცია;

- პორტფოლიოს პრეზენტაცია;
- დასრულებული ან მიმდინარე პროექტი;
- პროფესიული სტუდენტის მიერ საკუთარი სწავლის შედეგების ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის მომზადების გზით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სხვა ტიპის დავალება/დავალებები.

3. შეფასების კრიტერიუმები არის შუალედური დავალების ნაწილი და მიეთითება შუალედურ დავალებაში.

4 .შუალედური შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს მინიმუმ შემდეგ ინფორმაციას:

1. შესაბამისი პროგრამის დასახელება,
2. შეფასების ტიპის დასახელება (შუალედური შეფასება),
3. დავალების სახე,
4. დავალების პირობა,
5. დავალების შესასრულებლად განსაზღვრული დრო,
6. პროფესიული სტუდენტის სახელი და გვარი,
7. შეფასებისთვის საჭირო გარემო და პირობები,
8. შეფასების თარიღი.

მუხლი 7. შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება და ვალიდურობის შემოწმება

1. შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების მიზნით კოლეჯის დირექტორი, ადმინისტრირების ჯგუფთან კოორდინაციით ატარებს შესაბამის ღონისძიებებს.

2. შეფასების ინსტრუმენტი შეფასება გადის ვალიდაციას, კოლეჯის მიერ დადგენილი წესის და პირობების შესაბამისად.

4. შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისა და ვალიდაციის პროცესში ჩართული პირები, აგრეთვე - ადმინისტრირების ჯგუფის წევრები ვალდებულნი არიან წინასწარ არ გაამჟღავნონ თეორიული შუალედური დავალების შინაარსი.

5. შეფასების ინსტრუმენტში მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილია ინფორმაცია შუალედური დავალების შესრულებისთვის საჭირო მასალა-ნედლეულის (ერთ პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი) შესახებ.

მუხლი 8. შუალედური შეფასების შედეგები

1. შუალედური შეფასებაზე მიღებული ქულა გავლენას არ ახდენს პროფესიული სტუდენტის სტატუსზე, ვინაიდან შუალედური შეფასება განმავითარებელია.

2. თითოეული პროფესიული სტუდენტი ინდივიდუალურად ღებულობს უკუკავშირს მის მიერ შესრულებულ დავალებასთან დაკავშირებით შეფასების კომისიის წევრების მიერ;

3. პროგრამის ხელმძღვანელი შეფასებიდან (არსებობის შემთხვევაში, განმეორებითი შუალედური შეფასებიდან) ორი კვირის პერიოდში პროფესიულ სტუდენტებს აძლევს ინდივიდუალურ უკუკავშირს თითოეულ შეფასების კრიტერიუმთან მიმართებაში ასევე, ტესტურ დავალებასთან მიმართებაში.

მუხლი 9. შუალედურ შეფასებაზე დაშვების წინაპირობები

შუალედურ შეფასებაზე დაიშვება ყველა პროფესიული სტუდენტი, რომელიც აქტიურია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის ემისის ბაზაში.

მუხლი 10. შუალედური შეფასების პროცესი

1. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია, დროულად გამოცხადდეს შეფასების ადგილზე, გაიაროს რეგისტრაცია და მონაწილეობა მიიღოს შეფასების პროცესში.

2. შუალედური შეფასების პროცესზე, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია, თან იქონიოს წყალი, პირადი ჰიგიენის ნივთები. შეფასების კომისია პროფესიული სტუდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ნებას დართავს მას, გამოიყენოს სხვა ნივთები, რომელიც აუცილებელია პროფესიული სტუდენტისთვის.

3 პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია, ამ მუხლის მე-2 პუნქტის გარდა, თან იქონიოს შუალედური დავალების შესრულებისთვის საჭირო იარაღები.

4. შეფასების პროცედურაზე, პროფესიულ სტუდენტს ეკრძალება ნებადართული ნივთების გარდა სხვა საგნების გამოყენება.

5. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია დაიცვას წესრიგი, შეფასების პროცედურაზე. აკრძალულია პროფესიული სტუდენტისთვის გამოყოფილი ადგილის უნებართვოდ დატოვება, გადალაპარაკება, ხმაური, ან შეფასების პროცესისთვის სხვაგვარად ხელის შეშლა.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული პირობების უხეშად დარღვევის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი დატოვებს შეფასების პროცესს.

7. შესაძლოა, შუალედური შეფასების პროცესს დაესწროს დამკვირვებლები.(კოლეჯის წარმომადგენლები ან მოწვეული პირები)

მუხლი 11. განმეორებითი შუალედური შეფასება.

1. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია, აღადგინოს შუალედური შეფასება, რომელზეც არ გამოცხადდა საპატიო მიზეზით. ამისთვის ის დასაბუთებული განცხადებით მიმართავს სასწავლო პროცესის მენეჯერს, პირველივე შესაძლებლობისთანავე, მაგრამ, არაუგვიანეს შუალედური შეფასების თარიღიდან 2 სამუშაო დღისა და წარუდგენს მტკიცებულებას, რომელიც ადასტურებს შესაბამისი საპატიო მიზეზის არსებობას.

2. საპატიო მიზეზი, რომელიც პროფესიულ სტუდენტს აძლევს შუალედური შეფასების აღდგენის უფლებას, არის ავადმყოფობა, ახლო ნათესავის (მშობელი, მშვილებელი, შვილი,

მინდობით აღსაზრდელი, ბაბუა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე, მასთან მუდმივად მცხოვრები პირი) გარდაცვალება, ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება, რომელიც პროფესიული სტუდენტისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის პროფესიული სტუდენტის შუალედურ შეფასებაზე გამოცხადებას.

3. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულების შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს შუალედურ შეფასებაზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

4. სასწავლო პროცესის მენეჯერი მიმართავს დირექტორს განმეორებითი გამოცდის ჩატარების შესახებ და თან დაურთავს შესაბამის დოკუმენტაცია (პროფესიული სტუდენტის არ გამოუცხადებლობის შემთხვევასი)

5. განმეორებითი შუალედური შეფასება უნდა ჩატარდეს შუალედური შეფასების დასრულებიდან 30 დღის ვადაში.

მუხლი 12. შუალედურ შეფასებაზე გამოუცხადებლობის შედეგები

1. პროფესიულ სტუდენტს, რომელიც შუალედურ შეფასებაზე (მათ შორის, განმეორებით შუალედურ შეფასებაზე) არ გამოცხადდება, არ დაიშვება საკვალიფიკაცო გამოცდაზე

2.პროფესიულ სტუდენტს უფლება აქ მოითხოვოს განმეორებითი შეფასება ამ წესის მუხლი 11. (განმეორებითი შუალედური შეფასება.) შესაბამისად;

მუხლი 13. შუალედური შეფასების მტკიცებულება

1. შეფასების კომისია, შეფასებიდან მაქსიმუმ 5 სამუშაო დღის ვადაში გადასცემს შუალედური შეფასების შედეგებს სასწავლო პროცესის მენეჯერს საანგარიშო ფორმასთან ერთად.

2. პროფესიული სტუდენტის მიერ შუალედური შეფასების დროს შექმნილი მტკიცებულება ინახება კოლეჯში პროფესიული სტუდენტისათვის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე;

მუხლი 15. შუალედური შეფასების შედეგების გასაჩივრება

1. პროფესიული სტუდენტი, რომელიც არ დაუშვეს შუალედურ შეფასებაზე ან რომელსაც არ მისცეს გაცდენილი შუალედური შეფასების აღდგენის უფლება, უფლებამოსილია, არაუგვიანეს შეფასების თარიღიდან 7 დღისა დასაბუთებული პრეტენზიით, წერილობითი ფორმით მიმართოს კოლეჯის დირექტორს.

2. პროფესიული სტუდენტის განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს 4 სამუშაო დღისა ადმინისტრირების ჯგუფი აპელაციის თარიღს აცნობებს განმცხადებელს (მის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე/ელ. ფოსტაზე).

3. დირექტორი, განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, შექმნის სააპელაციო კომისიას, რომელიც უნდა შედგებოდეს მინიმუმ 3 წევრისაგან.
4. სააპელაციო კომისიას თავმჯდომარეობს კოლეჯის დირექტორი. სააპელაციო კომისიაში არ შეიძლება შედიოდეს სასწავლო პროცესის მენეჯერი.
5. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ზეპირი მოსმენის საფუძველზე.
6. სააპელაციო კომისია დანიშნავს განმეორებითი შუალედური შეფასების ახალ თარიღს, თუ მიიჩნევს, რომ არსებითად დაირღვა ამ წესით გათვალისწინებული პროცედურა.
განმეორებითი შეფასება ინიშნება ამ წესით დადგენილ ვადაში.
7. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით. გადაწყვეტილებას ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.

მუხლი 16.

არასაპატიო მიზეზით შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის არმიღება, ან დამატებით შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის არმიღება, შესაძლოა გახდეს სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი;

მუხლი 17. გარდამავალი დებულება

1. შუალედური შეფასების წესი ვრცელდება 2022 წლის 9 აგვისტოს შემდგომ ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებზე.
2. შუალედური შეფასების შედეგები შესაძლოა საფუძვლად დაედოს პროგრამაში ცვლილებების ინიცირებას, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებას, მატერიალური რესურსების შეფასებას, მარეგულირებელ აქტებში ცვლილებას ან საგანმანათლებლო სტანდარტებში ცვლილებების ინიცირებას, კოლეჯის კომპეტენციის ფარგლებში;